ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2316265

ნომერი: AR1358822

თარიღი : 24.11.2015

გაცემის თარიღი : 27.11.2015

გაცნობის თარიღი : 01.12.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბანი , ნაკვეთი 05/010 / ქალაქი თბილისი , ვაზისუბნის Iკვ.კორპ.N3-ის მიმდ. / ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი I , კორპ N3-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი I , კორპ. N2-ის მიმდებარედ ნაკვ.05/007;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა აღლემაშვილი პ/ნ 47001009393
- ვაზისუბანი 3 მ/რ, 1 კვ, 2 კორპ ბინა #119

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა "კონა 4", რომლის დირექტორსაც სამეწარმეო რეესტრის თანახმად წარმოადგენს მოქ. ზურაბი აღლემაშვილი, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ მოქ. კობა აღლემაშვილმა. საჭიროა "მინდობილობა/რწმუნებულების ველში" აიტვირთოს მოქ. ზურაბი აღლემაშვილის მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე ან ასევე შესაძლებელია მოქ. ზურაბი აღლემაშვილი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

- საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულია ვალდებულების საფუძველი დოკუმენტაცია, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდება შეზღუდვის საგანის (შეზღუდვა-დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე 89.00 კვ.მ და 73.00 კვ.მ) ადგილმდებარეობა. საჭიროების შემთხვევაში წარმოსადგენი გექნებათ აღნიშნული მიწის ნაკვეთების ფართების გამყიდველის ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე.

გაითვალისწინეთ, რომ სამსახური უფლებამოსილია დოკუმენტაციის არასრულყოფილად გადმოგზავნის შემთხვევაში განცხადება დატოვოს განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.